ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘ | № 138 (12650) | ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

Მ. Ა. ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲛᲐ, ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲛᲐ Მ. Ა. ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲛᲐ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲡ და ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ მას.

ᲑᲜ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲡ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲜᲔᲜ ᲚᲘᲑᲔᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲬᲔᲘᲚᲔᲑᲘ ჯ. ᲡᲚᲔᲘᲢᲠᲘ და ᲓᲔᲕᲘᲓ ᲔᲜᲐᲚᲖᲘ. (ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ).

ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘ ᲔᲬᲕᲘᲐ Ა. Ი. ᲛᲘᲭᲝᲘᲐᲜᲡ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘ, რომელიც მოსკოვში იმყოფება, ᲔᲬᲕᲘᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. მიჭოიანს.

ა. ი. მიჭოიანისა და ჰ. ვილსონის შეხვედრის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

ᲧᲝᲩᲐᲚ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲘᲗᲝ ᲛᲔᲩᲐᲘᲒᲔᲑᲝ!

ᲐᲞᲠᲘᲚ-ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ კორ.). გუშინ წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ახმ. ო. აბესაძემ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებისას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს „მწვანე ოქროს“ კრეფის აპრილ-ივნისის გეგმა შეასრულებინათ 20 ივნისისათვის.

გეგმა 13 ივნისისათვის გადამეტებით შესრულებულია. მოკრეფილია 3.304 ტონა ჩაის ნედლეული.

სასახელოდ მუშაობენ ახალსოფლის, გუმბრის, საწირის, ორპირის, მაღლაკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. მათ ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-ივნისის დავალება 109-131 პროცენტით გაანაღდეს.

კვლავ გვასახელა ოლია უმგერიძემ. მას წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. 13 ივნისისათვის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე შესრულა.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში დიდი მუშაობა განხორციელდა შაქრის ჭარხლის ნათესი ფართობებისა და საერთო მოსავლის გადიდებისათვის. თუ 1953 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 22,9 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი, უკანასკნელ ხუთ წელიწადში ჭარხლის საშუალო წლიურმა ჩაბარებამ შეადგინა 47 მილიონი ტონა. ამის შედეგად შაქრის წარმოება 1953 წლის 3 მილიონ 400 ათასი ტონიდან 1962 წელს გადიდდა 6 მილიონ ტონამდე.

მაგრამ ახლანდელ პირობებში, როცა მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ყოველ წელს უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ შაქრის ჭარხლის წარმოება და შაქრის გამომუშავება.

მიმდინარე წელს კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანის კარგი საფუძველი შექმნეს. მიუხედავად ნაგვიანევი გაზაფხულისა, 1 ივნისისათვის ჩვენს ქვეყანაში დათესეს 5,7 მილიონი ჰექტარი ეს ძვირფასი კულტურა. ჭარხლისათვის, როგორც წესი, გამოყოფილია საუკეთესო მიწები. შეტანილია ორგანული და მინერალური სასუქები. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში უველგან შაქრის ჭარხლის კარგი აღმონაცენია. ახლა ამოცანა ის არის, რომ დროზე და მაღალხარისხოვნად მოვაწყოთ ნათესების დამუშავება და მოვლა, უზრუნველვყოთ უხვი მოსავლის მიღება მთელ ნათესში.

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი. შეიმუშავეს და ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს 1963 წელს მთელ 255 ათას ჰექტარ ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 250 ცენტნერი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 60 მილიონი ცენტნერი ჭარხალი.

კიევის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს შაქრის ჭარხლის მთელ ნათესში მოიყვანონ 245 ცენტნერი ჰექტარზე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 23 მილიონი ცენტნერი ჭარხალი.

კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მინდვრის მშრომელებმა მოუწოდეს ყველა კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა 1963 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირეს კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მეჭარხლეთა თაოსნობას და ურჩიეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს, საწარმოო სამმართველოებს, ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განიხილონ კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მეჭარხლეთა მოწოდება. ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მათს ინიციატივას, გაშალონ საყოველთაო სახალხო შეჯიბრება იმისათვის, რომ 1963 წელს მოიყვანონ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი და გადიდონ მისი საერთო მოსავალი.

დროზე და ხარისხოვნად რომ განხორციელდეს შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს, პარტიული კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის გამეჩხრების დამთავრება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაცულ იქნას მცენარეთა საჭირო სიხშირე ჰექტარზე, რადგან ეს არის უხვი მოსავლის მოყვანის გადამწყვეტი პირობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მეჭარხლეებს უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახეს:

— დროზე გააფხვიერონ მწკრივთაშორისები, რათა მთელი ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში ჭარხალი თავისუფალი იყოს სარეველებისაგან. ამისათვის საჭიროა გამოიყენონ ყველა არსებული მექანიზმი, უზრუნველყონ მათი ორ ცვლად მუშაობა;

— გაითვალისწინონ, რომ მიმდინარე წლის პირობებში შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება დამატებითი სასუქის შეტანას ნათესებში. და ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სრულად და სწორად გამოიყენონ არსებული სასუქები. საჭიროა თვითეული მეურნეობაში მინერალურ სასუქებთან ერთად უფრო ფართოდ გამოიყენონ ჭარხლისათვის ადგილობრივი სასუქები;

— იმ მიზნით, რომ დაიცვან შაქრის ჭარხლის ნათესები მავნებელთაგან, უზრუნველყონ პლანტაციების დამუშავება შხამქიმიკატებით;

— არ დაუშვან გაუპიროვნება შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლის სამუშაოებში და ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ რგოლებმა განახორციელონ სამუშაოთა სრული კომპლექსი პლანტაციებში, და მათი შრომის შედეგები შეფასდეს მოსავლის მიხედვით. თვითეულმა მექანიზატორმა, როგორც წესი, უნდა დაამუშაოს ის ნაკვეთი, რომელიც დათესა;

— იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანაზე მომუშავე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების გადიდებას, რჩება უნდა მიეცეთ მეურნეობებს დაეწესონ ღონისძიებანი არა მარტო წლის დამლევს ნახალისებისა კარგი მუშაობისათვის, არამედ იმეთი ცალკეული სამუშაოების დროზე და კარგად შესრულებისთვისაც, როგორიც არის ჭარხლის გამეჩხრება და მცენარეთა ნორმალური სიხშირის უზრუნველყოფა; დამატებითი სასუქების შეტანა ნათესებში; მწკრივთაშორისების დამუშავება; ნათესების დაცვა მავნებელთაგან და სხვა სამუშაოები. შრომის ანაზღაურება სტიმულს უნდა აძლევდეს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდებას და მისი დამზადების გეგმების შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საწარმოო სამმართველოებისა და პარტიული კომიტეტების მუშაკები, კომუნისტები და კომკავშირელები, სოფლის ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა უზრუნველყონ ნათესების სანიმუშო მოვლა, მოიყვანონ უხვი მოსავალი, შეასრულონ შაქრის ჭარხლის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ეს იქნება სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი წვლილი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ᲒᲐᲕᲐᲮᲐᲠᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲗ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲔᲭᲐᲠᲮᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის მშრომელებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს 1963 წელს მთელ 255 ათას ჰექტარ ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 250 ცენტნერი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 60 მილიონი ცენტნერი ჭარხალი.

კიევის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს შაქრის ჭარხლის მთელ ნათესში მოიყვანონ 245 ცენტნერი ჰექტარზე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 23 მილიონი ცენტნერი ჭარხალი.

კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მინდვრის მშრომელებმა მოუწოდეს ყველა კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობების მუშებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა 1963 წელს მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ შაქრის ჭარხლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირეს კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მეჭარხლეთა თაოსნობას და ურჩიეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს, საწარმოო სამმართველოებს, ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განიხილონ კიევის ოლქისა და კრასნოდარის მხარის მეჭარხლეთა მოწოდება. ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მათს ინიციატივას, გაშალონ საყოველთაო სახალხო შეჯიბრება იმისათვის, რომ 1963 წელს მოიყვანონ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი და გადიდონ მისი საერთო მოსავალი.

დროზე და ხარისხოვნად რომ განხორციელდეს შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს, პარტიული კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის გამეჩხრების დამთავრება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაცულ იქნას მცენარეთა საჭირო სიხშირე ჰექტარზე, რადგან ეს არის უხვი მოსავლის მოყვანის გადამწყვეტი პირობა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მეჭარხლეებს უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახეს:

— დროზე გააფხვიერონ მწკრივთაშორისები, რათა მთელი ვეგეტაციური პერიოდის განმავლობაში ჭარხალი თავისუფალი იყოს სარეველებისაგან. ამისათვის საჭიროა გამოიყენონ ყველა არსებული მექანიზმი, უზრუნველყონ მათი ორ ცვლად მუშაობა;

— გაითვალისწინონ, რომ მიმდინარე წლის პირობებში შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება დამატებითი სასუქის შეტანას ნათესებში. და ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სრულად და სწორად გამოიყენონ არსებული სასუქები. საჭიროა თვითეული მეურნეობაში მინერალურ სასუქებთან ერთად უფრო ფართოდ გამოიყენონ ჭარხლისათვის ადგილობრივი სასუქები;

— იმ მიზნით, რომ დაიცვან შაქრის ჭარხლის ნათესები მავნებელთაგან, უზრუნველყონ პლანტაციების დამუშავება შხამქიმიკატებით;

— არ დაუშვან გაუპიროვნება შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლის სამუშაოებში და ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ რგოლებმა განახორციელონ სამუშაოთა სრული კომპლექსი პლანტაციებში, და მათი შრომის შედეგები შეფასდეს მოსავლის მიხედვით. თვითეულმა მექანიზატორმა, როგორც წესი, უნდა დაამუშაოს ის ნაკვეთი, რომელიც დათესა;

— იმის გამო, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანაზე მომუშავე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების გადიდებას, რჩება უნდა მიეცეთ მეურნეობებს დაწესონ ღონისძიებანი არა მარტო წლის დამლევს ნახალისებისა კარგი მუშაობისათვის, არამედ იმეთი ცალკეული სამუშაოების დროზე და კარგად შესრულებისთვისაც, როგორიც არის ჭარხლის გამეჩხრება და მცენარეთა ნორმალური სიხშირის უზრუნველყოფა; დამატებითი სასუქების შეტანა ნათესებში; მწკრივთაშორისების დამუშავება; ნათესების დაცვა მავნებელთაგან და სხვა სამუშაოები. შრომის ანაზღაურება სტიმულს უნდა აძლევდეს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდებას და მისი დამზადების გეგმების შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, საწარმოო სამმართველოებისა და პარტიული კომიტეტების მუშაკები, კომუნისტები და კომკავშირელები, სოფლის ყველა მშრომელი არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა უზრუნველყონ ნათესების სანიმუშო მოვლა, მოიყვანონ უხვი მოსავალი, შეასრულონ შაქრის ჭარხლის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ეს იქნება სოფლის მეურნეობის მშრომელთა დიდი წვლილი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ᲒᲐᲨᲐᲚᲝᲜ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲣᲮᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲗ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

ᲩᲕᲔᲜᲘ საყვარელი სამშობლოს თვალწვდენ სიგრცეებზე ჩქეფს მილიონობით საბჭოთა ადამიანის დამაბული შრომა. სახელოვანი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი წარმატებით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის დიდებულ პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ᲬᲘᲠᲝᲛᲚᲘᲗ თვითეული საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმე გახდა.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ჩვენი თანამემამულეების — უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა თაოსნობით გაშალეს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ 1963 წელს გაადიდონ მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. ამ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეები. საბჭოთა მეურნეობების მუშები, აგრეთვე იმ საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ამუშავებენ ჩვენი მხარის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. ყუბანელებმა მტკიცე პირობა დადეს, რომ მოიწევენ და აიღებენ ყველა კულტურის უხვ მოსავალს და სახელმწიფოს მიჰყიდიან 160-170 მილიონ ფუთ მარცვალს, 290-300 ათას ტონა ხორცს, 800 ათას ტონა რძეს, 470 მილიონ ცალ კვერცხსა და ბევრ სხვა პროდუქციას.

ახლა წარმოებს დაძაბული ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა საუკეთესო ვადებში დათესეს საგაზაფხულო კულტურები, ზრუნვით უველიან ნათესებს. მეცხოველეები ეძებენ და ამოქმედებენ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის რეზერვებს. სოფლის ყველა მშრომელთან ერთად დაუცხრომლად ვიბრძვით ჩვენც, მეჭარხლეები, რომლებსაც მონდობილი გვაქვს შაქრის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის მოყვანა.

ამ ბოლო წლებში ყუბანი გადაიქცა რუსეთის ფედერაციის ჭარხლის თესლისა და შაქრის წარმოების ერთ-ერთ წამყვან რაიონად. შაქრის ჭარხლის სათესი ფართობები 14-ჯერ გაიზარდა 1953 წელთან შედარებით. აშენდა 14 ახალი შაქრის ქარხანა, რის შედეგად შაქრის გამომუშავების საწარმოო სიმძლავრეები თითქმის 9-ჯერ გადიდდა.

მიმდინარე წელს საფასრიკო შაქრის ჭარხლის პლანტაციები გაიზარდა 255 ათას ჰექტარამდე. **ჩვენ დავისახეთ ამოცანა — მივიღოთ 250 ცენტნერი ჭარხალი თვითეულ ჰექტარზე და სახელმწიფოს მივყიდოთ სულ ცოტა 60 მილიონი ცენტნერი ჭარხალი.** უსტ-ლაბინსკის, დინსკისა და კავკასიის საწარმოო სამმართველოთა, ადიღეს ავტონომიური ოლქის კრასნოგვარდეისკის საწარმოო სამმართველოს მეჭარხლეებმა იკისრეს ვალდებულება მოიწიონ უფრო უხვი მოსავალი — 300 ცენტნერი ჭარხალი თვითეულ ჰექტარზე. გადიდებული ვალდებულებანი იკისრა ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა. მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა „ლაბინსკი“ იბრძვის იმისათვის, რომ 1.100 ჰექტარზე მიიღოს 14 ცენტნერი ჭარხლის თესლი ჰექტარზე.

ყუბანელ მეჭარხლეებს გასულ წლებში არაერთხელ დაუმტკიცებიათ, რომ შეუძლიათ საუცხოო მოსავლის მოყვანა. 1962 წელსაც კი, რომელიც არ იყო ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ბევრმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა აიღო შაქრის ჭარხლის კარგი მოსავალი. დიდი წარმატება მოიპოვა ყუბანის წარჩინებული მეჭარხლის სოციალისტური შრომის გმირის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. ა. სვეტლიჩნის მექანიზატორმა რგოლმა. რგოლმა, რომელიც მუშაობს პროგრესული ტექნოლოგიით და სრულიად არ იყენებს ხელის შრომას, გასულ წელს 150 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწია 252 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. ვ. ა. სვეტლიჩნის რგოლში ცენტნერი ჭარხლის თვითღირებულება 36 კაპიკს შეადგენს.

უკვე შარშან ყუბანში ვ. ა. სვეტლიჩნის რგოლს ბევრი მიმდევარი ჰყავდა. მათ მოიწიეს უფრო უხვი მოსავალი, ვიდრე იმ ბრ



სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ცხოვრება ხელოვნების მტკიცე საფუძველია

ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის მაღალი იდეურობისა და ოსტატობისათვის

საბჭოთა ხელოვნების მრავალფეროვან დარგებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კინოს. საბჭოთა კინოხელოვნება ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო მხატვრულ საშუალებას წარმოადგენს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას წარმოთქმულ სიტყვაში მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კინოხელოვნებას, მაგრამ ამასთანავე აღნიშნა; „ჩვენ ვხედავთ და დიდად ვაფასებთ მიღწეულებს კინოხელოვნების დარგში და ამასთან ერთად მივუთანხმა, რომ მიღწეული არ შეესაბამება ჩვენს ამოცანებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც კინოხელოვნებას მოღვაწეებს აქვთ... ამ მხრივ კინოს დარგში საქმე სრულიადაც არ არის ისე კარგად, როგორც ბევრ კინომოშაკს წარმოუდგენია. დიდად გვაწუხებს ის გარემოება, რომ კინოთეატრებში აჩვენებენ შინაარსით უმეტეს და ფორმით უძლურ მეტად მდარე კინოსურათებს, რომლებიც აღიზიანებენ ან ძილის, მოწყენილობისა და სევდის მდგომარეობას უქმნიან მაყურებლებს“.

ჩვენი ეროვნული კინემატოგრაფიის ანალიზისა და შეფასების დროს უნდა დავეყრდნოთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების ამ კრიტიკულ შენიშვნებს და სახელმძღვანელო მითითებებს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კინემატოგრაფიაში ნიჭიერი ახალგაზრდობის მოსვლამ ხელი შეუწყო ჩვენი კინოხელოვნების აღმავლობას. გაიზარდა გამოშვებული ფილმების რაოდენობაც. საბჭოთა ადამიანის შინაგანი დრამატული დაძაბულობა ყველაზე დამახასიათებელი გახდა თანამედროვე კინფლიქტისათვის. ახალგაზრდა კინომუშაკებმა უფროს თაობასთან ერთად ახლებურად დააყენეს კინოდრამატურგის, რეჟისურის, სახვითი კულტურის და კინომსახიობის ოსტატობის საკითხები.

კინოხელოვნებაში ახალი იდეური ჩანაფიქრის მხატვრული განსახიერებისათვის აუცილებელია ახალი მხატვრული სახვითი საშუალებები, შემჟი ვი გაბედული ძიებლობა. უამისოდ წინ ვერ წავალთ. მაგრამ ზოგჯერ ძიებას, სამუშაოდან, წამბაძველობითი კავშირი აქვს დასავლეთში გავრცელებულ იმ მოდურ „თეორიებთან“, რომლებიც არსებითად ეემყარება ჩვენი სინამდვილის სწორ იდეურ გაგებას. თითქოს ავტორის ფიქრებით დამძიმებული უსიტყვო სიმბოლური ფიგურა დაპირისპირებულია ხელოვნურად გამუქებული ფერებით დანახულ ხალხის მასასთან და ჩვენი მაყურებლის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. თავის შემდგომ მუშაობაში ახალგაზრდა რეჟისორმა გ. შენგელაიამ უფრო ნათელი და სწორი გზა უნდა აირჩიოს. ეს კი მას შეუძლია, ამისათვის საჭირო მონაცემები გამოამჟღავნა.

ზოგჯერ ჩვენი ლიტერატურული კინემატოგრაფიული შემოქმედებითი ახალგაზრდობის მეორე ნაწილში ადგილი აქვს ლიტერატურული თუ კინომოდებისადმი წამბაძველობითს მოვლენებს. ისინი ზოგჯერ თავიანთ ნაწარმოებებში ცდილობენ ჩვენი ცხოვრების ცალკეული ჩრდილოვანი მხარეები უფრო გაამუქონ ტალახიანი წვიმახარეკი ფერებით.

ასეთი „შემოქმედნი“ ილტვიან წვრილმანი თემებისაკენ, პასიურ დამოკიდებულებას იჩენენ ჩვენი ცხოვრების თანამედროვე, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი. ზოგჯერ ყველაფერ ამას გულგრილად შეეცქერით და ამით ხელს ვუწყობთ ახალგაზრდობის ამ მცირე ნაწილში თავისუფლების ინარქისტული გაგების და სხვა არაჯანსაღი მოვლენების და გადმონაშთების კიდევ უფრო გაღრმავებას ასეთ განწყობილებათა გავრცელების შედეგად ზოგიერთნი კიდევაც ცდილობდნენ დაპირისპირებისათვის „ძველი“ და „ახალი“ თაობა ერთმანეთისადმი, ჩამოეგდოთ ანტაგონიზმი მათ შორის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად ამხილა ასეთი მოვლენები, სასტიკად გააკრიტიკა ხელოვნების მუშაკები, რომლებიც მონურად იხრიან ქედს დასავლეთის კულტურის წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში უფროსი და ახალგაზრდა თაობანი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. თაობებს შორის მეგობრობა განპირობებულია ესთეტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მიზანდასახულობათა ერთობლიობით. ერთსა და იმავე პრობლემებზე მუშაობენ როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

ზოგ ახალგაზრდას აკლია საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის გაგება. ახლაც ეწარმოებს ბრძოლა ა.პოლიტიკურ განწყობილებათაგან და მეეთაზორობასთან, თანამედროვე მეშჩანობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ჩვენც დროულად უნდა ვამხილოთ ასეთი მოვლენები, თორემ ბევრ ხეს, როც ის გაიზრდება და გამსხვილდება, ვეღარ გასწორებ.

ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის ასეთი უარყოფითი გამოსვლები ხშირად გამოწვეულია მათი ნაადრევი პროფესიონალიზაციით. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენს კინოწარმოებაში, გადაღებულ ზოგიერთ სადიპლომო შრომებში, რომლებიც ხშირად თვით ინსტიტუტისთვისაც კი მიუღებელი ხდება. ზოგჯერ ჩვენ დათვურ სამსახურს ვუწევთ ზოგ ახალგაზრდას, როდესაც მას ერთობ მძიმე ტვირთს აკიდებთ, რომლის აწევა არ შეუძლიათ, არც ცოდნით და არც გამოცდილებთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში „მხატვრული კინემატოგრაფიის განვითარებაში ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც გასულ წელს იყო მიღებული, აღინიშნა კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის სუსტი მუშაობა კინოხელოვნების მოღვაწეთა აღზრდის საქმეში, ეს სავსებით სწორია და ვოცელდება საქართველოს კინემატოგრაფიიც კავშირზეც. ჩვენმა შემოქმედებითმა კავშირმა, მისმა სექციებმა, კავშირის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ გაშალეს სათანადო მუშაობა წევრთა შორის. ჩვენი კავშირი ჯერ კიდევ ვერ გახდა იმ მძლავრ საზოგადოებრივ შემოქმედებით ძალად, რომელიც აქტიურად დაეხმარებოდა საქართველოს ეროვნული კინოხელოვნების აღორძინებასა და განვითარებას.

კავშირის აყორადღების ცენტრში უნდა იყოს თბილისის ორივე კინოსტუდიის მთელი შემოქმედებითი-საწარმოო მოღვაწეობა, მათი ყოველი კინომუშაკის შემოქმედებითი ჩანაფიქრი, დაწყებული სასცენარო თემატიკური განაცხადიდან უკვე მზა ფილმის მაყურებელთან მიტანამდე. ეს კი დიდად დაეხმარებოდა ამ სტუდიის ხელმძღვანელობას ნორმალური მუშაობის ეზოუნველსაყოფად. ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ უახლოეს ხანში კავშირი კინომუშაკთა აღზრდისა და კულტურის კერა გახდეს.

ამავე დადგენილებაში შემოქმედებითი პროცესისადმი ხელმძღვანელობის ერთ-ერთ ახალ პრინციპად არის დასახული ყველა შემთხვევის გათვალისწინებით წინასწარ აღვაკეთოთ და თავიდან ავიცილოთ ყველა ის შესაძლო უარყოფითი შედეგი, მარცხი და ჩავარდნები, რომლებიც მოსალოდნელია ფილმების წარმოების ორეულ პროცესში. ამისათვის ეწინარეს ყოველისა საჭიროა კრიტიკულად დავიხასოთ და გავარჩიოთ ყველა ის სცენარი, რომელიც წარმოებაში ჩასაშვებად არის გამზადებული; წინასწარ შეეამოწმოთ და გავსინჯოთ კინოფილმების წარმოების ყველა პროცესი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მომავალი ფილმის იდეურ-მხატვრული ხარისხისათვის. ჩვენ ხშირად მზა ფილმს არც რაკურსით აღებული სგენები, არც რებრანდტის თვალით დანახული შუქჩრდილები და ნახევარტონები. ამიტომ საჭიროა სტუდიისა და კინომუშაკთა შემოქმედებითი კავშირის მთავარი ყურადღება უწინარეს ყოვლისა გადატანილ იქნას მაღალმხატვრული და იდეურად გამართული სცენარების მომზადებაზე. ჩვენი ქართული მწერლობის გამოცდილი ოსტატები ჯერ კიდევ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ ქართული კინემატოგრაფიის მიმართ.

ზოგიერთი მწერალი კინოსტუდიასთან ერთიერთობაში ხანდახან უსარგებლო შემოქმედებას შრომას ეწევა სტუდიის ზოგიერთი მუშაკის არაკვალიფიციური მოთხოვნილების გამო, რაც მას ხშირად სურვილს უკარგავს კინოში იმუშაოს. მაგრამ ახლა, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ყველა სტუდიაში შექმნილია სასცენარო-სარედაქციო კოლეგიები, რომლებშიც შედიან გამოჩენილი მწერლები, კრიტიკოსები და რედაქტორები, გაცილებით ადვილი უნდა გახდეს მწერლის შემოქმედებითი მუშაობა. აქამდან ჩვენი კინოსტუდია სცენარების დიდ ნაკლებობას განიცდის, ამიტომ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ ამ ახლად შექმნილ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიებს კინოსცენარების მომზადების საქმეში.

დღეს კინოსტუდიის გეგმით ყოველწლიურად 8-10 სცენარი უნდა გადაეცეს წარმოებას, დაახლოებით 20-25 ვარიანტი სცენარი უნდა დამზადდეს, რომ მთლიანად გამოყენებულ იქნას სტუდიის ტექნიკური ბაზა და კინომუშაკთა კადრების შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ეს უაღრესად დიდი ამოცანაა, და თუ ეს ამოცანა შესრულებული არ იქნა, სტუდიას გაცდენა მოელის და ეს დიდი დანაშაული იქნება ჩვენი ეროვნული კულტურის წინაშე.

რატომ არ შეიძლება, თუნდაც ზოგ შემთხვევაში, ჩვენთანაც დაინერგოს სცენარზე კოლეგიური მუშაობის მეთოდი.

სასცენარო პრობლემატიკადმი ყურადღების გამო თანდათან არ ეფრეკვეთა ერთიანი სცენარები. თითქმის ყველა სცენარი რომელიმე ნაწარმოების [illegible] ... ეკრანიზაციაა. [illegible] ... ეროვნული სცენარები. [illegible] ... ლეტატის და უმაღლესი სასცენარო კურსებდამთავრებული კინოდრამატურგები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ იმ დიდ მოთხოვნებებს, რომლებიც ამჟამად კინოწარმოებას აქვს.

ბატონიმ გეგმაში შეტანილი თემები ჯერ კიდევ ვერ ასახავენ იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენი კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის წინასწარდასახულობებშია მოცემული და ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის ამოცანებით არის აღბეჭდილი.

თემატურ გეგმაში სრულყოფილად არ არის მოცემული ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ნაწარმოებები. გასა ჩვენი მეფოლოდეების, რკინიგზელების, მაღაროელების, კოლმეურნეების და სხვა ეამარი ახალი საწარმოს მუშათა, ტექნიკოსთა, ინჟინერთა გმირული შრომა და ცხოვრება ეარსი არ არის, რომ ქართულმა ეკრანმა აჩვენოს თავისი მაშტაბით და ფრმა გაიზრებითა? ცხადია, ქართველი მწერლებიც მუშობენ. ამ მასალებზე, მაგრამ ქართული კიბოს უკანრველეს მოვალეობას წარმოადგენს თვითონ ქმედითად მოკიდოს ხელი ამ თემების დამუშავებას, თაოსნობა გამოიჩინოს, შემოიკრიბოს დაინტერესებული მწერლები და კინოდრამატურგები და პრაქტიკულ შემოქმედებითს მუშაობაში ჩაბმას. თემატური დაგეგმვის ნაკლოვანებანი უმთავრესად მის თვითდინებინთ შედგენაში მდგომარეობს. ამიტომ გეგმაში ჯერ კიდევ რევოლუციური ისტორია, რომელიც ყოველთვის ვ. ი. ლენინის ყურადღების ცენტრში იდგა, წარსულში არ იყო ნაჩვენები სათანადო პრინციპელობით. აუცილებელია ქართველმა მწერლობამ და კინემატოგრაფიამ შექმნან ეპიკური ტილოები ხალხის გმირულ რევოლუციურ წარსულზე, გამოაკლინონ ქართველ რევოლუციურნი ბრწყინვალე წარმოდგენილების გმირული სახეები.

ჩვენს ქართულ მხატვრულ კინემატოგრაფიას ჯერ კიდევ არ შეუქმნია თანამედროვე გმირი, რომელიც ღირსი იყოს ჩვენი გმირული ეპოქისა. საბჭოთა კინოხელოვნება ეთელი თავისი არსით უნდა გამოჩნდეს თანამედროვეობაში. ჩვენი კინოხელოვნების მთავარ ამოცანას შეადგენს ფილმებში ვაჩვენოთ ახალი ქვეყნის, კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების ადამიანები, იმ ქვეყნისა და იმ დროისა, რომელშიც თვითონ მაყურებელი ცხოვრობს. მაგრამ მაყურებელი მოითხოვს ჩვენი ცხოვრებისა და სინამდვილის ღრმა გამოკვლევას და ღრმა ანალიზებს. თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ იდეოლოგიური ბრძოლის, სოციალიზმისა და პრინციპულობას ამოცანები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროული მოწოდებათ საბრძოლო წესრიგში მოვიყვანოთ პარტიის ისეთი მძლავრი იდეური იარაღი, როგორიც საბჭოთა კინოხელოვნებაა.

დავით რონდელი.

კინორეჟისორი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის მდივანი.

მინდორი ელის მთიბავს

ხშირად წვიმები. სასაიმოვნოდ ბიბინებს ბალახი. საითაც გაიხედავ, უხვად შემოსულა სასილოსე მასა, სათიბები მთიბავებს ელის. პირუტყვის საკვების დამზადების ასეთი ხელსაყრელი პირობები სამხრეთ ოსეთის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დიდიხანია არ ყოფილა.

ბევრგან ამბობენ:

— თვითეულ ძროხაზე 10 ტონა სილოსი!

— შევქმნათ პირუტყვის საკვების ორი წლის მარაგი!

— მთელი ძალები თავის ასაღებად!

...ზნაურას საწარმოო სამმართველოს ერედვის საბჭოთა მეურნეობაში ერთსულოვნად გამოსულან სილოსის ჩადებაზე. სოფლის მიდამოებს, განსაკრა ფერდობებს ვერ ნახავთ, რომ იქ ადამიანები ცელით ხელში სასილოსე მასას არ თიბავდნენ. შეკეთებულ სასილოსე ორმოებში ხვავდა ადრეული სილოსი. დიდი გამოცოცხლებაა ავრეთვე იმ ნაკვეთებში, სადაც მრავალწლიანი ბალახები უთესიათ. გუგუნებენ ტრაქტორები, ბალახით იტვირთება ავტომანქანები, განუწყვეტლივ მეშაობენ სათიბები, სილოსსაჭიერები. მეურნეობა ყოველდღიურად 25-30 ტონა ბუნებრივ ბალახს ასილოსებს.

—უხვად მოეუმარაგოთ პირუტყვს სილოსი, შეექმნათ თვეის ორი წლის მარაგი! — ასეთი ამოცანა დაეყენა არტელის წევრთა საერთო კრებაზე სოფელ ქსუანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **იასონ ქრისტესიაშვილმა.** როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ქსუანელთა სიტყვა და საქმე ერთია. ქსუანში ყოველდღიურად 30-40 კაცი თიბავს, აბულულებენ თივას. სწრაფი ტემპით დაიწყო აგრეთვე ბალახის დასილოსება. ახალგაზრდებმა შექმნეს სილოსისა და თივის მარაგის შემქმნელი ბრიგადები, ჩამოელთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ქსუისის კოლმეურნეობამ გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულა წველადობისა და პირუტყვის სუქების დავალებანი. წელს კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულება იკისრეს. კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პირუტყვისათვის შექმნან უხვში და ფვნიანი საკვების ორი წლის მარაგი.

მთიბავთა ყიჟინა გაისმის ავრეთვე ფრონის ხეობაში. სოფელ ავნეკის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში, იქ, სადაც ვეებერთელა ბაღში ხეები დახუნძლულან, ვნახეთ მთიბავთა ბრიგადა, რომელიც წელამდე მოღერებულ ბალახს თიბავდა. **გიორგი კულუმბეგოვი,**

შოთა კაპანაძე, სოგრატ გულიევი, ილია ჭილაძე და სხვები კოლმეურნეობის აგრონომის **შოთა ჯავახიშვილის** ხელმძღვანელობით დაბლა, მდინარის პირას გაშლილ ჭალაში სასილოსე ბალახს თიბავდნენ. მეორე ჯგუფი: **ვ. მარანელი, დ. სიქტუტარშვილი, გ. კაპანაძე** თივას აბულულებდნენ. ავნეკში ყველა მოწადინებული აღუღებელი არ დატოვონ ბალახი.

თივის აღებასა და სილოსის ჩადებას შეუდგნენ ამავე რაიონის სოფელ თიღვის, ფერეგვნისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. საკვების დამზადების საქმე სამხრეთ ოსეთში თითქოს ადგილიდან დაიძრა. მაგრამ ცოტანი რიდი არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც დასკენები ვერ გააკეთეს გასული წლის მწარე გაკვეთილებიდან და თივის აღებას, სილოსის ჩადებას აჭიანურებენ. გასულ წელს ოღქმა ხომ ვერ შეასრულა ვერც თივის აღების, ვერც სილოსის ჩადების დავალებანი. სწორედ ამიტომ იჩინა თავი ნაკლოვანებებმა წველადობაში, ხორცის დამზადებაში. მაშინ სილოსის დამზადების წინასწარ ნავარაუდევი გეგმა მხოლოდ 38 პროცენტით შესრულდა, თივისა — 63 პროცენტით. განა ეს არ იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ შარშან პირუტყვის სიკვდილიანობის ბევრი ფაქტი იყო? შარშან დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ ზნაურის საწარმოო სამმართველოს სოფლების ბელოთისა და ვანათის (თავმჯდომარეები **ვ. ლაფარი, მ. ბაციკაძე**) კოლმეურნეობები.

საკვების ნაკლებობამ დიდი ზარალი მიაყენა ამ მეურნეობებს. ახლა კი, როცა საკვების დამზადების ცხარე დღეები დადგა, როცა ამ კოლმეურნეობათა მინდვრებზე ბევრია ნორჩი ნოყიერი ბალახი, თივის აღებასა და სილოსის ჩადებას კვლავ აჭიანურებენ. უფრო მეტიც, შეეკითხებელია სასილოსე ნაგებობანი. ლენინგორის რაიონის სოფელ არცევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს **ალექსი ხუბულოვს** თვეის თიბვა და სილოსის დამზადება ჯერ ნაადრევად მიაჩნია, თუმცა მეზობელი კოლმეურნეობები ადრე შეუდგნენ ამ საქმეს.

მედოეხვალიობით იშუშმინებს თავს სოფელ ქემერტის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. კასრაძე.** მათს მინდვრებზე რომ გაივლი, ბელი გეტკინება: მშვენიერი ბალახი მთიბავებს ელოდება, ისინი კი არსად ჩანან.

თივის აღებასა და სილოსის დამზადებას არ ჩქარობენ ჯავის რაიონში. ეს რაიონი ხომ განთქმულია საუკეთესო საძოვრებით და სათიბებით, მაგრამ აქ ყოველწლიურად თივისა და სილოსის იმის ნახევარსაც კი ვერ ამზადებენ, რის შესაძლებლობაც არის. მართალია, მაღალ ზონაში სიცივეების გამო მცენარის ზრდა დაყოვნდა და თიბვის აგროვადებმა გადაიწია, მაგრამ ხომ არიან სოფლები, კერძოდ რაიონული ცენტრის ახლოს, სადაც ახლა ნამდვილი თიბვის ცხარე დღეები უნდა იდგეს. რატომ არ ამზადებენ თივას, სილოსს, ეთქვათ ჯავის, ხვწეს, �, ჩასავლის კოლმეურნეობებში? იქ ხომ ახლა საამისოდ შშვენიერი პირობებია? მაგრამ მიზეზი მხოლოდ იმაშია, ვფიქრობთ, რომ რაიონულმა ორგანიზაციებმა დროულად ვერ მისცეს ბიძგი კოლმეურნეობებს, ხოლო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა გულდამშვიდებით უცდიან ზემდგომი ორგანოების მითითებას.

ჯავის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში სასილოსე ნაგებობანიც არ არის წესრიგში მოყვანილი. ორმოები შესაკეთებელია: როკისა და ვანელის კოლმეურნეობებში. უთუოდ მისასალმებელია, რომ ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებმა კარგად დაიწყეს თივის აღება ვასპიისპირეთში, მაგრამ რატომ ასეთი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან თივის აღებას და სილოსის დამზადებას ქსნის ხეობაში, სადაც ათასობით სულმა მსხვილფეხა პირუტყვმა უნდა გამოიზამთროს?

გეგმის მიხედვით ლენინგორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა 3.454 ჰექტარზე უნდა აიღონ თივა. ჯერ კი ერთ ჰექტარზეც არ აუღიათ. თივისა და სილოსის დამზადებას არ შესდგომიან სოფლების ბიყარის, გრომის და ორეფსონის კოლმეურნეობები.

ახლა საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეებია. სამხრეთ ოსეთში ყველა გრძნობს, რომ წელს საკვების დამზადების საუკეთესო პირობებია. ითქვა: შეექმნათ საკვების ორი წლის მარაგი! ეს მეტად კეთილშობილური ამოცანაა და იგი უნდა შესრულდეს, საამისოდ არის ძალები, საშუალებები და უხვბალახიანი სათიბებიც.

რედიოს მონაწილეები:

ძ. ბასიევი, ზოოტექნიკოსი, მ. ცხოვრებოვი—ჯავის რაიონის მსხლების კოლმეურნეობის წევრი; **ა. ჭაბაურიძე** — აგრონომი, **ზ. კოზერიძე** — ზნაურის საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი; **მ. ბიბაური** — სოფლკორი; **გ. კუდუხოვი, ვ. საბანაძე** — გაზეთ „სოვეთონ ირისტონის“ თანამშრომლები; **ი. თედიაშვილი**— „კომუნისტის“ საკ. კორ.

„კომუნისტის“ რედიდ

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

ვინ დაიტაცა ჟურნალ-გაზეთები?

ჩვეულებრივ, როცა ხელისმომწერი ჟურნალ-გაზეთებს ვერ იღებს, საგაზეთო ექსპედიციას მიმართავს ხოლმე. მაგრამ ჩვენ აქ ერთეულ შემთხვევაზე როდი გვაქვს ლაპარაკი. მოხდა ისე, რომ ქალაქ ქუთაისის არც ერთ მოქალაქესა და ორგანიზაციას ზედიზედ არ მიუღია ჟურნალ „ნიანგის“ მეშვიდე და მერვე ნომრები.

უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კავშირგაბმულობის მუშაკები. უგზოუკვლოდ დაიკარგა „ნიანგის“ ორივე ნომერი 5.806 ეგზემპლარის რაოდენობით. მიმდინარე წლის 9 მაისს ეს დეკენშით აცნობეს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო სამმართველოს უფროსს რ. შიმშილაშვილს, თან დასძინეს, რომ დღემდე „ვერ მოხერხდა ვერც ჟურნალების აღმოჩენა და ვერც დამნაშავისა“.

კავშირგაბმულობის ქუთაისის კანტორის მუშაკები მაინც არ მოეშვნენ ამ საქმეს, და გამოავლინეს, რომ ჟურნალ „ნიანგის“ მეშვიდე ნომერი თბილისიდან, ჟურნალ-გაზეთების რესპუბლიკური ექსპედიციიდან, ქუთაისში გადმოიგზავნა 14 აპრილს, ხოლო მერვე ნომერი — 30 აპრილს. დადგენილია ისიც, რომ აღნიშნული ჟურნალები ჩაიტვირთა საფოსტო ვაგონებში.

ჟურნალის მეშვიდე ნომერი ჩატვირთულია № 97/252 მატარებლის საფოსტო ვაგონში, და იგი ქუთაისის კავშირგაბმულობის კანტორას უნდა მიეღო იმ 105 ნივთთან ერთად. რომლებიც შეტანილია, როგორც რესპუბლიკური ექსპედიციის მიერ გამგზავნილ ჩამოთვლაში, ისე თვით საფოსტო ვაგონის ზედნადებში. ფაქტიურად კი ქუთაისში ნაცვლად 105-ისა მიიღეს 97 ნივთი. საკვირველია, რომ ზედნადებში, რომელსაც საფოსტო ვაგონის დამღა აზის, და რომელიც აშკარად უპასუხისმგებლოდ, დანაშაულებრივად არის შედგენილი. საფოსტო გზავნილებათა და ნივთების ჩამოწერილი რაოდენობა და საბოლოო ჯამი არ ეფარდება ერთმანეთს. ამრიგად, აღნიშნული საფოსტო ვაგონის უფროსმა ვ. შენგელიამ, რომელმაც, განზრახ არავდარია ზედდებულის ჩანაწერები, ქუთაისის ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციას დააკლო 8 კონა ჟურნალი.

ასევე გამეორდა 30 აპრილს, როცა იმავე მატარებლის საფოსტო ვაგონის უფროსის ვ. სიხარულიძის დანაშაულით ექსპედიციას დააკლეს 9 კონა ჟურნალი.

აღნიშნული ჟურნალების, განსაკუთრებით ჟურნალ „ნიანგის“ მერვე ნომრის მთლიანად დატაცება სხვა მხრივაც არის საგულისხმო. სწორედ ამ ნომერში, ჟურნალის მთელ გვერდზე, სათაურით „დაუსჯელი დამნაშავე“ მხილებულია ქუთაისელი გარეწარი ვინმე ბუკა ჭოლაძე და მისი ხელშემწყობნი

ვინ იცის, გარდა საფოსტო ვაგონის უფროსის ვ. სიხარულიძისა, კიდევ ვისი ხელი ურევია ამ ბნელ საქმეში?!..

და ეს ერთადერთი ფაქტი როდია ჟურნალ-გაზეთების დაკარგვისა და დატაცებისა. მიმდინარე წლის 24 მარტს საფოსტო ვაგონიდან ქუთაისის ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციას არ ჩაბარდა 2 კონა გაზეთი „კომუნისტი“ 1.000 ცალის რაოდენობით. ამის შესახებაც ეცნობა თბილისის ფოსტტების გადაზიდვების განყოფილებას. მაგრამ არც ამას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

კავშირგაბმულობის ქუთაისის კანტორის ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციის დაქვემდებარებით მოთხოვნის შემდეგ თბილისის ფოსტების გადაზიდვების უფროსმა ა. ორჯონიკიძემ ექსპედიციას აცნობა, რომ საფოსტო ვაგონების უფროსებს სისარულიძისა და შენგელიას გადასახდელად დაეწერათ ჟურნალ „ნიანგის“ დაკარგული ნომრების — 5.806 ცალის ღირებულებაო.

ეს არის და ეს.

ხომ არ მეორდება ქუთათურებისათვის დაკარგულ „ნიანგში“ გამოქვეყნებული წერილის „დაუსჯელი დამნაშავის“ ისტორია?

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბოდინავე მეაბრეშუმეები

სამტრედია. (საკ. კორ.). ბოდინავე მეაბრეშუმეებმა დაიწყეს აბრეშუმის პარკის ჩაბარება. სოფელ კულაშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წარჩინებულმა მეაბრეშუმემ **ო. სტურუამ** 25 დღეში გამოკვება აბრეშუმის ჭია და 12 ბრამი მურიდან 41,2 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი მიიღო, გეგმა 30 კილოგრამამ ითვალისწინებდა.

ქ. ფოლუკიძის ფოლუკიძის საჩილოგის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ **ბ. ტერელაძემ** გეგმით გათვალისწინებული 45,5 კილოგრამის ნაცვლად მიიღო 66,7 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის პარკი. ამ საქმეში კარგად იყეშუამ აბრეთვე სოფელ ეფიმრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ **თ. ზამთარაძემ.**

გამოჩენილი მუშა-რევოლუციონერი

მ. ზ. ბოჭორიძის დაბადების 90 წლისთავი



თვითმკურნალობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასმა თავისი რიგებიდან წამოაყენა რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკოს-ორგანიზატორთა ბრწყინვალე პლეადა. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მიხეილ (მიხო) ზაქარიას-ძე ბოჭორიძეს.

მ. ბოჭორიძემ რევოლუციამდელი მუშის ტანჯული ცხოვრების გზა განვლო. ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო იგი იძულებული იყო 12 წლის ასაკში (დაიბადა 1873 წლის 14 ივნისს) დაეწყო შრომითი საქმიანობა და თითქმის ხუთი წლის განმავლობაში მოჯამაგირეობით ერჩინა თავი.

1892 წელს მ. ბოჭორიძე ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში იწყებს მჭედლად მუშობას. აქ იგი შედის მუშათა თვითგანვითარების წრეში, ესწრება მ. გორკის აქტიური მონაწილეობით დაარსებულ „კრასნოგორსკაია კომუნას“ ლიტერატურულ სალამოებს. მალე ის თვითონ იწყებს წერას „მუშათა საკითხზე“ და თავის პირველ ლექსებს აქვეყნებს მუშათა ხელნაწერ ჟურნალებში. ამავე პერიოდში მ. ბოჭორიძე უკავშირდება რუსეთიდან გადმოსახლებულ მარქსისტებს და საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ რევოლუციური ფრთის წევრებს. **1894** წელს იგი შედის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეში და იწყებს მარქსისტული ლიტერატურის შესწავლას.

თავისი არაჩვეულებრივი ნიჭისა და უნარის მეოხებით მ. ბოჭორიძემ მალე დაიმახსოვრა რკინიგზის სახელოსნოების და მთელი თბილისის მუშათა ნდობა და სიყვარული. ჯერ კიდევ **1896** წელს იგი შეყვანილ იქნა თბილისის სოციალ-დემოკრატიული წრეების ხელმძღვანელი ცენტრში, რომელიც შემდეგში რსდმ პარტიის თბილისის კომიტეტად გადაიქცა.

1898-1900 წლებში რსდმპ თბილისს კომიტეტი პეტერბურგის ლენინური „ბრძოლის კავშირის“ მაგალითის მიხედვით იწყებს საწრეო პროპაგანდიდან ფართო პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლას. იგი სათავეში უდგება მუშათა გაფიცვებს და დემონსტრაციებს, ქმნის არალეგალურ სტამბებს და იწყებს საგიტაციო ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემას.

მ. ბოჭორიძემ პოლიტიკიური წრთობის დიდი გაკვეთილი მიიღო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშათა **1900** წლის აგვისტოს გაფიცვის დროს. ეს იყო პირველი დიდი პოლიტიკური გაფიცვა საქართველოში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის მთელ ამიერკავკასიაში.

გაფიცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მ. ბოჭორიძე სამუშაოდან დაითხოვეს, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ წყვეტს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. ამ პერიოდში მ. ბოჭორიძე გადაჭრით დგება ლენინური „ისკრის“ პოზიციებზე.

საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თბილისის მუშათა **1901** წლის საპირველმაისო გამოსვლას, რომელიც მეფის ჯარებთან და პოლიციასთან სისხლისმღვრელ შეტაკებად იქცა. ეს იყო თბილისის მუშათა პირველი დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელსაც ლენინურმა „ისკრამ“ მთელი კავკასიისათვის „ისტორიულად ღირსშესანიშნავი“ მოვლენა უწოდა. „...ამ დღიდან, — წერდა „ისკრა“ მთელ კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“. ამ გამოსვლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი მ. ბოჭორიძე იყო.

მ. ბოჭორიძე პირველად **1901** წლის სექტემბერში დააპატიმრეს. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ (**1902** წლის მარტი) მას კვლავ ირჩევენ რსდმპ ლენინურ-ისკრული მი

საერთაშორისო
ლიტერატურული
ცხოვრება

სსრ კავშირის მთავრობის საჩუქარი იუგოსლავიის დედაქალაქს

ბელგრადი, 12 ივნისი. (საკადესი). დღეს აქ საზეიმო ვითარებაში ბელგრადის სახალხო კომიტეტს გადაეცა 3.000 ტომისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა — სსრ კავშირის მთავრობის საჩუქარი იუგოსლავიის დედაქალაქს.

ფილმი ბავშვებისათვის

პარიზი, 12 ივნისი. (საკადესი). საბჭოთა მულტიპლიკაციურმა ფილმმა „ვინ თქვა მიაუ" (რეჟისორი ვ. დეტიარაოვი) მიიღო „ბავშვთათვის საუკეთესო ფილმის პრიზი მულტიპლიკაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც გაიმართა საფრანგეთის ქალაქ ანესიში.

ფესტივალზე დაახლოებით 90 ფილმი წარმოადგინა მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის ჩეხოსლოვაკიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, იაპონიამ, საფრანგეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, იტალიამ, იუგოსლავიამ და სხვ.

საბჭოთა კავშირმა აჩვენა კიდევ ორი ფილმი „ერთი დანაშაულის ისტორია" და „ოტო კოსმოსში".

პირველი პრემია მოზრდილთათვის მულტიპლიკაციურ ფილმებს შორის მიიღეს ჩეხოსლოვაკიელმა კინემატოგრაფისტებმა. კიურის სპეციალური პრემია მიეკუთვნა აგრეთვე პოლონურ ფილმს.

„დამნაშავენი" ძალაუნებურად

ქალაქ იზმირის პროკურორის ოთახში სიცივისაგან გალურჯებული ორი ბავშვი შეიდგა. თოთხმეტ-თოთხმეტი წლისა იქნებოდნენ. ერთს დაგლეჯილი სვიტერი ეცვა, მეორეს — ძველი პერანგი. ესენი უპატრონონი იყვნენ. თვითონ მივიდნენ პროკურორთან, რომ ეცნობებინათ, თურა „დანაშაული" ჩაიდინეს წინდღეს — განზრახ მოიპარეს ავტომობილი. ბავშვებმა ცახცახით და ტირილით უთხრეს: „გავიყინეთ, გვშია და გადავწყვიტეთ საპატიმროში მოვხვედეთ. სწორედ ამიტომ მოვიპარეთ ავტომობილი. გვიშველეთ!".

თურქი უპატრონო ბავშვების რუსტემ ოკუმუმისა და ჯენგიზ დალდალის ეს ამბავი მოგვითხრო გაზეთმა „ქაშამმა". იქნებ ისინი კიდევაც მოხვდნენ საპატიმროში, სადაც უფრო მაინც თბილა, ვიდრე ქუჩაში, და სალაფავს ძიძლევიან. მაგრამ საკუთარ ოჯახს — ... — ... ვიდეს დანარჩენი 430 ათასი უპატრონო ბავშვი თურქეთში?

„საზარბაზნე ხორცზე" მონადირენი

ამას წინათ პარიზის ერთ-ერთი ლიცეუმის მოსწავლენი საფრანგეთის სამხედრო ხროვის მიერ მოწყობილი ფსიქიური იერიშის ობიექტი გახდნენ. იერიში წარმოებდა ყველა წესის დაცვით. ლიცეუმის კორიდორებში დადგეს სტენდები, რომლებზეც გამოკრული იყო არტილერიის ქვემეხების, ტანკების, რეაქტიული თვითმფრინავების ფოტოსურათები. მოსწავლენი დარბაზში შეირიბეს. სცენაზე ავიდნენ ოფიცლევიან. მაგრამ საკუთარ ... — ... — ... —

სილამაზისა და სიჯაბუკის გეიმი

III სპარტაკიადა >>> 1963

საქართველოს III სპარტაკიადაზე სპორტის მეტ წილ სახეობებში გამოვლინდნენ ჩემპიონები, პრიზიორები. დამთავრდა შეჯიბრება კალათბურთსა და წყალბურთში, თავისუფალ ჭიდაობასა და ფრენბურთში, კრივსა და კლასიკურ ჭიდაობაში, მძლეოსნობასა და ცურვაში, ჭართულ ჭიდაობასა და ცხენოსნობაში, თანამედროვე ხუთჭიდსა და ველოსიპედოსნობაში... დღეისათვის საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა თბილისის გუნდი, მეორეზე — აფხაზეთის, მესამეზე — აჭარისა.

არის საკავშირო რეკორდი!

სპარტაკიადის დღეებში სპორტის არც ერთ სახეობაში არ ყოფილა რეკორდების ესოდენ უხვი მოსავალი, როგორც ძალოსანთა ასპარეზობაზე ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში. ახალი რესპუბლიკური რეკორდის პირველი მახარობელი მჩატე წონაში კონკურსგარეშე მონაწილე ბათუმელი ა. სურმანიძე იყო. მისი შედეგი სამჭიდში (315 კილოგრამი) საქართველოს რეკორდია. მსუბუქ წონაში სპარტაკიადის ჩემპიონობა თბილისელმა ბ. მარტჩიანმა მოიპოვა. მან სამჭიდში აჩვენა 365 კილოგრამი, ხოლო აჭიმვაში — 118 კილოგრამი, ორივე ეს შედეგი ახალი რესპუბლიკური რეკორდია.

ფიცარნაგზეა ქვესაშუალო წონის ათლეტი თბილისელი ბ. კოჩიეანი. მისი ყოველი მოძრაობა დამაჯერებელი, მსუბუქია, მორიგი მოძრაობა — აკვრა. შტანგაზეა 171,5 კილოგრამი. მაყურებელთა ტაშის გრიალში სიმძიმე დაძლეულ იქნა. არის სსრ კავშირის ახალი რეკორდი. ძველი რეკორდი (171 კილოგრამი) ცნობილ საბჭოთა ძალოსანს ყაზანელ ვ. კურინოვს ეკუთვნოდა. კიდევ ერთი რეკორდი დამყარა გ. კოჩიევმა, ამჯერად რესპუბლიკური. სამჭიდში მან 415 კილოგრამი დააგროვა. ამავე წონის კატეგორიაში კიდევ ორი რეკორდი იქნა დამყარებული. 17 წლის თბილისელმა რ. ბასპარიანმა ატაცში 118 კილოგრამიანი შტანგა დაძლია და ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ჭაბუკებისათვის. მართალია, პრიზიორთა შორის არც თბილისელი ძალოსანი ვ. სვინჩიანცო იყო. მაგრამ ქვესაშუალო წონის რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში მანაც შეიტანა შესწორება. იგი აჭიმვაში პირველი იყო ახალი რესპუბლიკური რეკორდით (133 კილოგრამი). საშუალო წონაში სპარტაკიადის ჩემპიონი ქუთაისელი დ. ქართველაძე გახდა (400 კილოგრამი), ქვემძიმე წონაში — თბილისელი ა. ბაზაძე (410 კილოგრამი).

კონკურენციის გარეშე

დელიჟანი იპოდრომზე დამთავრდა ცხენოსანთა ასპარეზობა. გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრებას თავიდანვე აფხაზეთის მხედრები ჩაუდგნენ სათავეში და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირად პირველობათა უმეტესობაც მათ მოიპოვეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულად ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატიც. აფხაზეთის სპორტსმენებმა პირველობა აქაც არავის დაუთმეს.

ცხენოსანთა ასპარეზობის უკანასკნელ დღეს სპარტაკიადის ახალი ჩემპიონები გამოვლინდნენ. მარულას ათ კილომეტრზე თავიდანვე აფხაზეთის გუნდის წევრი ა. ჯენია ლიდერობდა. საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა. მისმა თანაგუნდელმა ა. ბოგომოლოვამ კვლავ მოიპოვა ჩემპიონის წოდება, ამჯერად დაბრკოლებათა გადალახვაში „პირველ შეცდომამდე". ცხენის გაწვრთნაში „დიდ ჯილდოზე" ყველა გუნდს არ გამოუყვანია მონაწილე. ამიტომაც სერიოზული კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა მ. ერისთავმა. საერთო გუნდური პირველი ადგილი აფხაზეთის გუნდმა მოიპოვა (714 ქულა), მეორე — თბილისელებმა (570 ქულა), მესამეზე ფოთელი ცხენოსნები არიან.

გზატკეცილზე და ტრეკზე

დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედოსანთა ასპარეზობა გზატკეცილზე და ტრეკზე. საგზატკეცილო ველოსიპედოსანში ასპარეზობა საქართველოს სამხედრო გზაზე მიმდინარეობდა. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს პირველად სტარტი მიეცა ჭგუფურ რბოლას 50 კილომეტრზე ქალებისათვის. ამ დისტანციაზე ყველაზე ძლიერი აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. გვიმაზდიკოვა იყო (1.27.50). ვაჟთა შორის ჭგუფურ რბოლაში 100 კილომეტრზე სპარტაკიადის ჩემპიონობა თბილისელმა ვ. ქეხბამ მოიპოვა. საგზატკეცილო ველოსიპედოსანში გუნდური პირველი ადგილი თბილისის ველოსიპედოსანებმა დაიკავეს. მეორეზე — აჭარის სპორტსმენები არიან, მესამეზე — აფხაზეთი.

ველოსტრეკზე სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა სპრინტერული და გამოდევნებითი რბოლა. ვაჟთა შორის გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე სპარტაკიადის ჩემპიონობა თბილისელმა დ. გეგეშიძემ მოიპოვა. ქალთა შორის სპრინტერულ რბოლაში თბილისის გუნდის წევრმა ვ. შახპარონიანმა გაიმარჯვა. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის პირველი ადგილი მისმა თანაგუნდელმა დ. ზანდუკელმა მოიგო. გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 3 კილომეტრზე ქალებისათვის ყველას ლ. სტაშევსკაიამ (თბილისი) აჯობა. თბილისის გუნდმა გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე პირველი ადგილი მოიპოვა და ამავე დროს ტრეკის რეკორდი დაამყარა (4.57.4). გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დედაქალაქის სპორტსმენებმა დაიკავეს. მეორეზე ქუთაისელი ველოსიპედოსანები არიან, მესამეზე — აფხაზეთი.

ხუთი დღის პაექრობა

თანამედროვე ხუთჭიდი სპორტის ერთ-ერთი რთული სახეობაა. ხუთჭიდელი ერთნაირად უნდა ფლობდეს სპორტის ისეთ სახეობებს, რომლებიც თავისი სპეციფიკით საკმაოდ არიან დაცილებულნი ერთმანეთს: ცხენოსნობას, ფარიკაობას, ტყვიის სროლას, ცურვასა და მძლეოსნურ კროსს დასერილ გზებზე.

ხუთი დღის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს საქართველოს უძლიერესი ხუთჭიდელები. პირადი პირველობისათვის ბრძოლა უმთავრესად თბილისელებს ა. კრავჩენკოს, ი. მურომცევსა და რუსთაველ ვ. ონანოვს შორის წარმოებდა. ა. კრავჩენკომ შეძლო მეტოქეების უკან ჩამოტოვება და სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა (4.798 ქულა). მეორე ადგილი ი. მურომცევი გამოვიდა, მესამეზე — ვ. ონანოვი. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი არავის დაუთმეს დედაქალაქის ხუთჭიდელებმა. რუსთავის გუნდი წარმატებით იბრძოდა და მეორე საჩრჩო ადგილზე გამოვიდა, მესამეზე აფხაზეთის სპორტსმენები არიან.

გამოვლინდნენ ჩემპიონები ფარიკაობაში. ვაჟთა შორის დაშნით ბრძოლაში სპარტაკიადის ჩემპიონი თბილისელი შ. სულამანიძე გახდა. ქალებში რაპირისტთა შორის პირველი ადგილი მისმა თანაგუნდელმა ჯ. გიორგაძემ მოიპოვა.

ადგილიდან სასტენდო სროლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა აფხაზეთის წარმომადგენელი კ. დარასელია. მან 300 შესაძლებლიდან 281 ქულა მოაგროვა.

ბ. ბახტურიძე,
ო. ლორთქიფანიძე.

* * *

სურათზე: გ. კოჩიევი რეკორდის დამყარების დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ხელოვნების ქრონიკა

ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მაყურებელს უჩვენა **მაინ რიდის „უთავო მხედარი"** (ინსცენირება დრამატურგ ი. რუბინშტეინისა).

სპექტაკლი დადგა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა, მხატვარია — გ. ცერაძე. მუსიკალური გაფორმება — რ. დემჩინსკის და გ. მალრაძისა.

ვ. მელქოევი.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ახლახან მაყურებელს უჩვენა ორი პრემიერა — ესტონელი დრამატურგის რანნეტის პიესა **„ბრაკონიერები"** და იუგოსლავიელი მწერლის ვოინოვიჩის პიესა **„გრიგალი"** („ეკვინიციო").

პიესა „ბრაკონიერები" დადგა ვ. მუჟედლიძემ, მხატვრულად გაფორმა დ. ჯიჯონაიამ.

დრამა „გრიგალი" დადგა რეჟისორმა ს. ახალაძემ, მხატვარია ი. პეტრაიტისი, კომპოზიტორი — ზ. ლოლაძე.

„შვიდკაცა" — ერთი ოჯახიდან

წყალტუბო. (საკ. კორ.) მაღალმთიან სოფელ მუხურაში დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ამ სოფლის მკვიდრი, პედაგოგი ზოტინე აბესაძე. ოჯახელიც ოთხი ათეული წელია უანგარიშოდ ემსახურება ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ზოტინე აბესაძე რვა შვილის მამაა. მან შეაყვარა შვილებს ძველი ქართული ხალხური სიმღერები. მისი ოჯახის ყველა წევრი სოფელად ცხოვრობს, მუშაობს და სწავლობს, ამასთან ჩინებულად მღერის. მხოლოდ მისი ერთი ვაჟი — გიგა, ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებშია.

და, აი, შვიდმა დაძმამ შექმნა ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა", რომელმაც ბევრი ქართული სიმღერა შეისწავლა, მათ შორის სიმღერები პარტიაზე, სამშობლოზე მშვიდობაზე...

„შვიდკაცა" მარტოოდენ თავის ოჯახში როდი მღერის. იგი ყოველთვის გამოდის სასოფლო კლუბის სცენაზე და კოლმეურნეებს ქართული მელოდიებით ატკბობს.

აკაკი გელიაშვილის ექვსტომეული



ცნობილი ქართველი საბჭოთა მწერლის აკაკი ბელიაშვილის მოთხრობებსა და რომანებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. ბევრი მისი ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ენებზე.

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" შეუდგა აკაკი ბელიაშვილის რჩეულ თხზულებათა გამოცემას ექვსტომად. უკვე გამოვიდა ამ გამოცემის პირველი ტომი, რომელშიც დაბეჭდილია მოთხრობები „ჯიხვი", „წერილი და გვრგვინი", „ბედის უკუღმართობა", „ამბავი რუსთაველისა", „შეხვედრა", „სიხარული", „სამშობლო ხევსურისა", „სიყვარულის სამკუთხედი", „ქორწილი სოფელში", „ნუხური ტრფობისა" და სხვ.

მეორე ტომში გამოქვეყნდება მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები. მათ შორის „ახალგაზრდები", „საოდუმლო გამოქვაბული", „ჯადოსნური სათვალე", „რუსთავი", „ქართული ფოლადი" და სხვ.

მესამე ტომი მთლიანად დაეთმობა მწერლის ცნობილ ისტორიულ რომანს — „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა".

მეოთხე და მეხუთე ტომებში დაიბეჭდება რომანები „ოქროს ჩარდახი", „ულელტეხილი", „ვეფხია ხალიბაური" და „შვიდკაცა".

მკითხველები ინტერესით მიიღებენ მეექვსე ტომს, სადაც გაერთიანდება აკაკი ბელიაშვილის კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიები და წერილები. რომლებშიც ლიტერატურის, თეატრის, კინოს და საერთოდ ხელოვნების მრავალი საყურადღებო საკითხია განხილული.

აკაკი ბელიაშვილის თხზულებათა ექვსტომეულზე ხელმოწერას აწარმოებენ „საქწიგნისა" და სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიები.

რადიოლოკაციური რაკეტები და რაკეტები

მას შემდეგ, რაც საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები გაჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატები ვეღარ გრძნობენ, რომ საშიშროება არ მოელოდეთ ომის შემთხვევაში, მიუხედავად ოკეანეთა უდიდესი სივრცეებისა, რომლებიც შეიარაღების ჩვეულებრივი საშუალებებისათვის გადაულახავია.

შემტევი იარაღის გამალებულ დამზადებასთან ერთად, რაც უდიდეს სახსრებს ნთქავს, იმპერიალისტური მონოპოლიები ახლა გაფაციცებით ამუშავებენ დაცვის საშუალებებს „კომუნისტური საშიშროებისაგან", რომელიც თითქოს ემუქრება მათ.

ჩნდება რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა ბევრი „სრულყოფილი" პროექტი, რასაც თან სდევს რეკლამა და ხმაური. ამ სისტემებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და იმედს ამყარებდნენ „ნაიკ ზეუსის" სისტემაზე, რომელშიც ეარაუდობენ გამოიყენონ გზის გადამჭრელი რაკეტა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის შემუშავება უკვე დიდი ხანია დაიწყო, მის დამთავრებას მაინც ბევრი აკლია. როგორც თვით ამერიკელები აღიარებენ, მან შესაძლოა ვერ გაამართლოს ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებენ, თუმცა უკვე შთანთქა კოლოსალური სახსრები, რაც 15 მილიარდ დოლარს აღწევს. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, კომენტარს უკეთებდა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის განცხადებას საბჭოთა კავშირში სრულყოფილი ანტირაკეტის შექმნისა და რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის ფარში მიღწევების შესახებ, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბევრად ჩამორჩნენ. პენტაგონის გამოანგარიშებით საჭიროა კიდევ დაახლოებით ოთხი წელიწადი და ათი მილიარდი დოლარი, რომ შეიქმნას რაკეტების გზის გადაჭრის საშუალებანი.

რაკეტების საწინააღმდეგო ეფექტიანი თავდაცვის ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად ითვლება ფრენაში მყოფი რაკეტების შორმანძილზე აღმოჩენა.

ცნობილია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია რადიოლოკაციის საშუალებებით. უკვე ამჟამად არსებობს რადიოლოკაციური სადგურები, რომელთა მოკმედების სიშორე ათასობით კილომეტრით განიზომება. მაგრამ შორს აღმომჩენი სადგური შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ მიახლოებულად გაირკვეს რაკეტის ტრაექტორია, ვინაიდან აღმოჩენის სიშორის მიღწევა ჯერჯერობით მხოლოდ სიზუსტის ხარჯზე ხდება. ამიტომ შორს აღმომჩენმა სადგურმა უნდა უთვალთვალოს აღმოჩენილ რაკეტას და შემდეგ „გადასცეს" იგი ეგრეთწოდებულ „მიზნისმაჩვენებელ სადგურს", რომელსაც აღმოჩენის სიშორე ნაკლები აქვს (დაახლოებით 1.600 კილომეტრი), მაგრამ მეტი აქვს სიზუსტე. ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია მიზნის ჩვენების პირველი საექსპერიმენტო სადგური. როგორც ამერიკული პრესა წერს, ასეთი სადგურის სიმძლავრე იმდენად დიდია, რომ მის გადამცემ ანტენას შემოკრული აქვს ლითონის დამცავი გისოსი, რომელიც 100 მეტრზე ახლოს არ უშვებს მასთან ადამიანებს, ხოლო მიმღები ანტენა ასეთ გისოსს დაშორებულია 300 მეტრით.

მეტ წილ თანამედროვე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს აქვთ მოსაცილებელი საბრძოლო თავები, რომლებიც თავდამცველმა უნდა გაარჩიოს უკანასკნელი საფეხურის კორპუსისაგან, თავის შემდეგ რომ მოფრინავს. გარდა ამისა, თავდამცველის შეცდომაში შესაყვანად შეიძლება გამოყენებულ იქნას „ყალბი მიზნები" და რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებათა სხვა ხელოვნური დაბრკოლებები.

მაშასადამე, რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვას უნდა შეეძლოს ფრენაში მყოფი ობიექტების ჯგუფიდან, როგორიც არის მუხტიანი საბრძოლო თავი, რაკეტის უკანასკნელი საფეხური, „ყალბი მიზნები" და ასე შემდეგ. გამოჰყოს ნამდვილი მიზანი— მუხტიანი საბრძოლო თავი. ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზნის გამიცნობი სპეციალური რადიოლოკაციური სადგურები. ასეთი სადგურის შემუშავება ამერიკელების აზრით, წარმოადგენს ერთ-ერთ უთოულეს პრობლემას, რაც უნდა გადაიჭრას რაკეტების საწინააღმდეგო იმ სისტემაში, რომელსაც ისინი ქმნიან გზის გადამჭრელი რაკეტის „ნაიკ-ზეუსის" საფუძველზე. ამ სადგურის არეალიმა სიგნალმა წარმოდგენა უნდა მისცეს თავდამცველს არა მარტო ფრენაში მყოფი ობიექტების სიჩქარესა და კოორდინატებზე, არამედ მათი ამრეკლავი ფართობის ცვლილებაზეც, აგრეთვე ამ ფართობის რყევათა სიხშირეზე.

ამრიგად, მიაჩნიათ, რომ შეიძლება მიღებულ იქნას ფრენაში მყოფი სხვადასხვა ობიექტის დამახასიათებელი ქცევის სახე.

სათავო ნაწილების ქცევის სახის ექსპერიმენტული რეგისტრაციისათვის ამერიკელები უთვალთვალებენ თავიანთ რაკეტებს, რომლებსაც კანაკერალის კონცხიდან უშვებენ. რაკეტების უკანასკნელი საფეხურებიდან და საბრძოლო თავებიდან არეკლილ სიგნალებს იწერენ და გულმოდგინედ სწავლობენ.

მას შემდეგ, რაც მიზნის მაჩვენებელი სადგური დაიჭერს მიზნებს და გამომცნობი სადგური გამოჰყოფს ნამდვილ მიზანს, უნდა ამოქმედდეს ზუსტი თანხლების რადიოლოკაციური სადგური, რომლის ინფორმაციას იყენებენ გზის გადამჭრელი რაკეტის სამართავად. ეს სადგური განუწყვეტლივ გადასცემს ზუსტ მონაცემებს მიზნის შესახებ გამომთვლელ-ამომხსნელ მოწყობილობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ გზის გადამჭრელი რაკეტისა და საბრძოლო თავის შეხვედრის წერტილს.

გზის გადამჭრელი რაკეტის სამართავად იმ მომენტში, როცა ის საბრძოლო თავთან შეხვედრის წერტილში გაჰყავთ, არის კიდევ ერთი სადგური. მას იმისათვის იყენებენ, რომ განუწყვეტლივ თან მიჰყვებოდეს ფრენაში გზის გადამჭრელ რაკეტას და მის ბორტზე გადასცემდეს მართვის განკარგულებებს, საჭირო მომენტში აგრეთვე აფეთქებს მის საბრძოლო მუხტს.

ამრიგად, რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა უნდა იყენებდეს, ამერიკელ სპეციალისტთა აზრით ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული რადიოლოკაციური სადგურების კომპლექსს. შორი მოქმედების ბალისტიკური რაკეტებისათვის გზის გადაჭრის მეტად რთული პრობლემები, თვით ამერიკელი სპეციალისტების აზრით, ძალიან შორს არის გადაწყვეტისაგან.

ზოგიერთი სპეციალისტი დიდ სკეპტიციზმს იჩენს. მაგალითად, ბრიგადის გენერალი ოსტინ უ ბეტსი, ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ფურცლებზე წერს: „ჯერჯერობით ჩვენ კარგად არა გვაქვს წარმოდგენილი რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის ყველა ძირითადი პრობლემა, ჩვენ არც იმის იმედი გვაქვს, რომ მივაღწიოთ რაიმე ისეთი თავდაცვითი სისტემის ეფექტურობის საკითხის გადაწყვეტას, როგორის შემუშავება და შექმნაც შეგვიძლია".

რ. ვიქტოროვი,
საგანგებო „ახალი ამბების" მეცნიერი კომენტატორი.

მოკლედ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ერთდროულად 25 კაცი ისვენებს და ჯანმრთელობას აღიდგენს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ღამის სანატორიუმში, რომელსაც შვიდი საძინებელი ოთახი, აგრეთვე სამკურნალო და სხვა კაბინეტები აქვს.

ორი წლის განმავლობაში სანატორიუმმა შვიდასზე მეტ ავტომშენებელს გაუწია მომსახურება.

ჭიათურა. (საკ. კორ.). პიონერთა საქალაქო სახლთან არსებობს თოჯინების თეატრი, რომელსაც აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი გ. მოდებაძე ხელმძღვანელობს.

პატარა მსახიობებმა მოამზადეს და უჩვენეს ხალხური ზღაპრები „კურდღელი", „მელა და მამალი", „თოლის ბაბუა" და სხვ.

საგარეჯო. (საკ. კორ.). ქალაქ საგარეჯოს საშუალო სკოლის კოლექტივმა გულთბილად მიიღო იუგოსლავიელი სტუმარი, ჩერნოგორიის პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რადულე სეკულიჩი. სტუმარს აინტერესებდა გასცნობოდა საწარმოო სწავლებას. ამ საკითხზე მას დაწვრილებით ესაუბრა სკოლის დირექტორი მ. მანდარია.

ახლა სოფლად შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. ახალგახრდები შრომობენ და სწავლობენ, ცოდნის დონეს იმაღლებენ. მესტიის საცდელ-სარეველებელი კოლმეურნეობის მოწინავე მწველავები სუნი ჩართოლანი, ტბიანი ფალიანი და ზაირა ფალიანი უმაღლეს სასწავლებელში მესასვლელი გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებიან.

სურათზე: ს. ჩართოლანი, ტ. ფალიანი და ზ. ფალიანი მეცადინეობის დროს.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ფრე კიშინიოვში

ქუთაისის ტორპედოელები წარმატებით გამოდიან ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში. ისინი ყოველ მატჩს, როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგეთა მოედნებზე მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან და შედეგიც კარგი აქვთ. მოორგი ასპარეზობა ქუთაისელებს ჰქონდათ გუშინ კიშინიოვში, „მოლდოვას" წინააღმდეგ.

თავიდანვე ტემპიანი ბრძოლა გაჩაღდა, ორივე გუნდი აგრესიულად იყო განწყობილი, მაგრამ კარებზე მიტანილ იერიშებს შედეგი არ მოეცია მეკარეთა აქტიური თამაშის შედეგად.

პირველი ტაიმი დამთავრდა 0:0.

მეორე ნახევარში მასპინძლები უფრო აქტიურობდნენ. მათ იერიშები მიჰქონდათ ფლანგებიდან და ზუსტი ჩაწოდებებით ცდილობდნენ კარის აღებას ცენტრიდან, მაგრამ აქ არაერთხელ იხსნა კარი ურუშაძემ.

იყო პერიოდი, როდესაც ტორპედოელებსაც ჰქონდათ „კარის აღების" რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ერთხელ ძელმა იხსნა კარი, ზოგჯერ კი ბეთონი აცდა კარს.

მეტად სახიფათო მომენტი შეიქმნა უკანასკნელ წუთზე „ტორპედოს" კართან. აქ თითქოს გოლი გარდუვალი იყო, მაგრამ ურუშაძემ იხსნა თავისი გუნდი ამჯერაც გოლისაგან.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ბ. ბელოგრის (ლენინგრადი) სასტვენის ხმამ გვიმცნო მატჩის დამთავრება ფრედ 0:0.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

მატჩი კიევში

გუშინ კიევში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში კიევისა და თბილისის „დინამოს" გუნდებს შორის. **გაიმარჯვეს კიელებმა 5:1.**

თბილისის დინამოელთა შემადგენლობაში იყვნენ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ალანიძე, მეტროველი, ბარქაია, კალოევი, პეტროსიანელი, მესხი.

საბჭოთა მოჭადრაკეების ტრიუმფი

სოჭში დამთავრდა საერთაშორისო საშაქრაკო ტურნირი.

ეს ასპარეზობა აღინიშნა საბჭოთა მოჭადრაკეების ტრიუმფით, რომლებმაც პირველი ხუთი ადგილი დაიკავეს. მათ შორის უძლიერესი იყო გროსმაისტერი **პოლუგაევსკი** (8,5 ქულა). მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი **სმისლოვი, ანტოშინი, კროგიუსი** და გროსმაისტერი **ხოლმოვი.**

დევისის თასზე

გუშინ ინგლისის ქ. ისტბორნის კორტებზე დაიწყო დევისის თასის გათამაშების მეოთხეფინალური შეჯიბრება ჩოგბურთში ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

ბრძოლა დაიწყო ერთეულთა ასპარეზობით. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელი ა. მეტრეველი და მ. სანგსტერი. გაიმარჯვა ინგლისელმა ჩოგბურთელმა 6:4, 6:3, 6:3. თ. ლეიუსმა დაამარცხა რ. უილსონი.

ამრიგად ანგარიშია 1:1.

ღღეს გაიმართება წყვილთა ასპარეზობა. ერთმანეთს შეხვდებიან თ. ლეიუსი. ლიხაჩოვი და მ. სანგსტერი-ვ. ნაიტი.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში.

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" გუნდები. მატჩის შედეგია 5:1 „არარატის" სასარგებლოდ.

მატჩი ხარკოვში ჩემპიონატის ლიდერის მოსკოვის „დინამოსა" და ხარკოვის „ავანგარდის" ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0.

მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „დინამოს" გუნდები. აქაც ფიქსირებულ იქნა ფრე — 1:1.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელმა ბაკოს „ნეფტანიკამ" მეთოთხმეტე ტურის მატჩი გაიმართა ლენინგრადში „ზენიტის" წინააღმდეგ და შეჯიბრება ფრედ — 0:0 დამთავრდა.

დონის როსტოვში გაიმართა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური ასპარეზობა მოსკოვის „სპარტაკისა" და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის. შეჯიბრების შედეგია 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

მეგობრების გასტროლები

თბილისელთა ახალი სპექტაკლი

გუშინ თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივმა ერევნელებს ახალ მორიგ სპექტაკლად უჩვენა. პუჩინის ოპერა „ბოჰემა", რომლის დადგმელი-რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კვალიაშვილი, მხატვარი — ი. ასკერავა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მთავარი ხორმეისტერი — ე. ტერიშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).

სპექტაკლში მთავარი პარტიები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა მ. ამირანაშვილმა (მიმი), თ. თაქთაქიშვილმა (მიუზეტა), ა. ჩაკალიდმ (რუდოლფო).

ოსტატურად მიუყვადა ორკესტრი დირიჟორს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს ოდისეი დიმიტრიადის.

მეგობრობის გასტროლები გრძელდება.

ლონდონში 23 ოქტომბერს ინგლისს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ითამაშებს დედამიწის ნაკრების წინააღმდეგ. ფერონანდო რიერა, რომელიც მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატის წინ ჩილის ნაკრებს ეკვთხოდა, ხოლო ახლა ლისაბონის „ბენფიკას" მენტორია, დანიშნულია მსოფლიოს ნაკრების მწვრთნელად. ამას წინათ ფრანგი ჟურნალისტი რეტაკერი ესაუბრა რიერას.

დედამიწის ნაკრები

რიერა. მე ბევრი ვიფიქრე, მეკარეებზე — ბრაზილიელ ჟილმარსა და პორტუგალიელ პერეირაზე. მაგრამ მაინც უკეთესად ფიშინი მიმიჩნია. ამას წინათ ვნახე ფილმი ჩილის ჩემპიონატის შესახებ, კადრები სსრ კავშირის შეხვედრისა ოლიმპიადასთან და, რა თქმა უნდა, ცნობილი კორნერი, რომლიდანაც კოლუმბიელებმა გოლი გაიტანეს. მაშინ შეცდომა დაუშვა არა იაშინმა, არამედ ახლო შტანგასთან მდგომმა მცველმა. ჩილიელებთან მატჩშიც იაშინს როდი მიუძღვია ბრალი გოლში, რომელიც ლეონელ სანჩესმა გაიტანა საკარიმო დარტყმით: უკანასკნელ მომენტში საბჭოთა მცველებმა ბზარი გაიჩინეს ეკედლში. ვფიქრობ, იაშინი უთუოდ ღირსია იმისა, რომ დაყენებულ იქნას მსოფლიო ნაკრების კარში.

რეტაკერი. გადავიდეთ მცველებზე. ამჟამად მაქვს არ უღალატებთ ბრაზილიურ სისტემას 4—2—4? მარჯვნივ, ვგრნებ. სჯობს იუგოსლავი იუსუფი, ბრაზილიელი ჯალმა სანტოსი (თუმცა დაბერდა), უნგრელი მატრაი და ფრანგი ვინდლინგი.

რიერა. მე კი მაინც დავაყენებ ჩილელ ეიზაგუირეს, რომელიც კარგად უმკლავდება მოწინააღმდეგეს, მალ